საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 396 -01
"25" 06 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

განმცხადებელთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით. დარეგისტრირდა 51 კანდიდატი. შეფასება განახორციელა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა.

შერჩევის პროცედურაში დარეგისტრირებული 51 განმცხადებლიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 გადაწყვეტილებით კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, ვინაიდან, 1-მა განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით დადგინდა 2020 წლის 7 ოქტომბერს დაწყებულ შერჩევის პროცედურაში დამატებითი განცხადებების (ელ. ფორმით) მიღება 2021 წლის 6 აპრილიდან 12 აპრილის ჩათვლით. შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 აპრილის №1/34 განკარგულების საფუძველზე კანდიდატად დამატებით დარეგისტრირდა 2 პირი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების თანახმად, კანდიდატების შეფასების მიზნით მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ მოძიებულ იქნა ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია მოძიებისა და დამუშავების შემდგომ, შესასწავლად გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეულ წევრს.

2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 27 აპრილის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა 39 კანდიდატს. გასაუბრების ეტაპზე გადასული 52 კანდიდატიდან გასაუბრებამდე კანდიდატურა მოხსნა 11 პირმა. ხოლო 2 კანდიდატი მოხსნილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გასაუბრებაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-8815/21
"25" 06 2021 წ. ფურც. 4+9

0144, თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, ტელ./ფაქსი: 227 31 00, www.hcoj.gov.ge
12, Bochorma st., 0144 Tbilisi, Georgia. Tel./Fax: +99532 227 31 00, council@hcoj.gov.ge

გამოუცხადებლობის გამო. ასევე, 6 პირმა კანდიდატურა მოხსნა გასაუბრების დასრულების შემდეგ. მოსმენას ესწრებოდნენ OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, საჯარო მოსმენის პროცესი გადაიცემოდა (პირდაპირი ტრანსლირებით) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს Youtube-ის არხის მეშვეობით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრების მიერ შევსებული იქნა შეფასების ფურცლები და შეფასების დასაბუთებები, რომლებიც სხდომამდე გამოქვეყნდა საბჭოს ვებ გვერდზე შემფასებელთა ვინაობის მითითებით.

აღნიშნული შეფასების და შეფასების დასაბუთების პროცესში მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრი (ნ. ჯანეზაშვილმა არ მიიღო მონაწილეობა). გასაუბრების ეტაპზე არცერთ კანდიდატს არ მოუთხოვია წევრის აცილება, ერთმა წევრმა პროცესის დასაწყისში დააყენა თვითაცილება ერთ-ერთ კანდიდატთან ნათესაური კავშირის გამო (ი. შენგელია - ლ. თევზაძე).

2021 წლის 1 ივნისის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/41 განკარგულებით შემდგომ ეტაპზე გადაყვანილ იქნა 9 კანდიდატი. ერთმა კანდიდატმა აღნიშნული განკარგულება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულება.

2021 წლის 17 ივნისს გამართულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღია სხდომაზე, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით, კენჭი სათითაოდ ეყარა თითოეულ კანდიდატს. კენჭისყრის დროს კანდიდატებმა მოიპოვეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარმოგიდგენთ 9 კანდიდატს. გიგზავნით კანდიდატების მიერ წარმოდგენილ განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ აღნიშნული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 და მე-13 პუნქტების შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას. ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://judicialcandidates.hcoj.gov.ge

დანართი 1: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №2 წარდგინება.

დანართი 2: გ. გოგიაშვილის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 429 ფურცელი.

დანართი 3: გ. აბუსერიძის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 333 ფურცელი.

დანართი 4: ლ. თევზაძის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები და თანდართული დოკუმენტები 350 ფურცელი.

დანართი 5: ქ. მესხიშვილის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 399 ფურცელი.

დანართი 6: გ. შავლიაშვილის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 402 ფურცელი.

დანართი 7: რ. ნადარაიას შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 329 ფურცელი.

დანართი 8: ბ. სტურუას შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 336 ფურცელი.

დანართი 9: ე. ზარნაძის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 313 ფურცელი.

დანართი 10: ლ. ქოჩიაშვილის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები 453 ფურცელი.

პატივისცემით,

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი